# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.

ფასი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 103

წელიწადი მეორე

1913

კვირა 14 [illegible]

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".



დეპოლამპეულის. ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალერის ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული. ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები). სამზარეულოები, თატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთები, აუარებელი ასარჩევი ნიმუშები შპალიერის იაფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

## 1913 იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ. редакція газеты ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.



## ქუთაისი.

პაიზე დამყარებული ამხანაგობა

· კირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი.

გაზაფხულისა.

და ზაფხულის სეზონი

ტრიკო,
კასტორი,
დიოგონალი,
ჩესუნჩა,
რაგოლი,
ტილო,
პარუსინა,
ბატისტა,
კისეია,
შემიზი,
ჩითი.

პოპლინი,
მესალინი,
ქივრონი,
ლიბერტი,
ლევანტინი,
სტოლსაფრები,
„პოკრივალო",
პირსახოცი,
ხელსახოცები,
მადაპალამი,
ლანკორტი.


## შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ამით აუწყებს, რომ ჭიათურის საქალაქო შკოლის სამთო-ტეხნიკურ განყოფილებაში მიიღებენ მოწაფეეთ არა ნაკლებ 16 და არა უმეტეს 22 წ. შკოლაში შესვლის მსურველს დასრულებული უნდა ქონდეს სამოქალაქო შკოლა 1872 წ. გამოცემული დებულების მიხედვით დაარსებული, და ან ამ გვარი უფლებიანი სხვა შკოლა, მხოლოდ გამოცდიან რუსულ ენასა, ართმეტიკასა და გეომეტრიაში. ეგზამენები დაინიშნულია 28 მარიამობისთვეს. თხოვნები მიიღება ჭიათურის საქალაქო შკოლის ინსპეკტორის სახელზე 1913 წ 20 მარიამოპისთვემდი.

## შავი-ქვის მრეწველთა საბჭო

მოიწვევს სამთო ინჟინერს სპეციალური საგნების მასწავლებლათ ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის

სამთო-ტეხნიკურ განყოფილებისათვის.

ჯამაგირი იქნება 1500 მან. და ბინის ქირათ 300 მან. 20% მიმატებით ყოველ ხუთ წელს შემდეგ, მონაწილე იქნება მოსამსახურეთა

გამსესხებელ-შემნახველ-დამხმარე კასისა.

თხოვნა საბუთებით უნდა წარედგინოს შავი ქვის საბჭოს ქუთაისში 1913 წლ. 1-ლ აგვისტომდის.

## შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ჭიათურის საქალაქო შკოლის სამთო ტეხნიკურ განყოფილებაში საზეინკლო-სანალბანდო ინსტრუქტორის ადგილისთვის

ეძებს პირს,

რომელსაც დასრულებული უნდა ქონდეს ტეხნიკური და ან სახელოსნო შკოლა. ინსტრუქტორის წლიური ჯამაგირი 900 მანეთია. ყოველ ხუთ ელიწადში ჯამაგირი ოც პროცენტით გაუდიდდება. მონაწილე იქნება მოსამსახურეთა გამსესხებელ-შემნახველ დამხმარე კასისა.

თხოვნა საბუთებით უნდა წარადგინონ ქუთაისში შავიქვის საბჭოში 1-ლ აგვისტომდის.

## თფილისის მეოთხე რვაკლასიანი

კომერციულ სასწავლებლის ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ

**მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში**

და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოსგან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირველ კლასში მიიღებიან | 10 12 წ. | მეოთხეში „ | „ | 13—16 წ. |
| მეორეში „ | „ 11—14 „ | მეხუთეში „ | „ | 14—17 „ |
| მესამეში „ | „ 12—15 „ | მეექვსეში „ | „ | 15—18 „ |

ადრესი: პანსკევიჩის ქუჩა, № 38.

## ქალთა პროგიმნაზი

მარიამ კვინიხიძის ასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.

**ექიმი ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგან ქალთა სნეულებს და ბავშებს**) ახალ ბინაზე. ქარვასლის ქ. კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ. რადიუმის გვერდით ჩილინგაროვის სახლი.

კბილის **ექიმი ანა ბუტულოვის ასული** გადავიდა ახალ ბინაზე: პუშკინის ქუჩა სახლი ჯანელიძისა ქალაქის საბჭოს პირდაპირ და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გვერდით

**ექიმი ი. ჩარექოვი** ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, წირალოვის სახლში.

**ექიმი ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი

შინაგან სნეულებათა **ექიმი ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს. სად. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.** ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

გაზეთი „იმერეთი"

**იყიდება** მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან, იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

## იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

## ტელეფონის სადგურიდან.

ვისაც ტელეფონის მოწყობა სურს, განცხადება დროით შემოიტანოს, ვინაიდან მალე რემონტი უნდა დავიწყოთ და საშალება არ გვექნება ტელეფონები დავდგათ.

საზღვარგარეთელი **სტუდენტი** ამზადებს მოსწავლეთ გიმნაზიის ყველა კლასებისას შემდეგ საგნებში: ისტორიაში, რუსულში, გეოგრაფიაში—ქართულში. ასწავლის აგრეთვე გერმანულ (ნემეცურ) ენას ოტტო ზაუერის ახალ სისტემაზე. შეუძლია მსურველს ერთ რომელიმე აგარაკათ წაყვეს. მიმართეთ გაზ. "იმერეთის" რედაქციაში ვ. ჭელიძეს.

## დღიური

დიდ სახელმწიფოებს მოლაპარაკება აქვთ ბალკანეთის საკითხში შეერთებულათ იმოქმედონ.

— ბულგარეთში რევოლუციონური მოძრაობა ძლიერდება. ასიათასი ჯარისკაცი სატახტო ქალაქს მიადგა. საჭმელი სურსათი გაძვირდა, ქალაქი გამოქცეულებით აივსო.

— რუმინიის ჯარი სოფიას მიდის.

— ინგლისმა ადრიანოპოლის შესახებ პორტას მოხსენება წარუდგინა.

— ოსმალეთის ჯარის ბულგარეთში შეჭრის გამო, გოდნევმა ოსმალეთს წინადადება მისცა—ჯარი გაიყვანე, თვარა საქმე გამწვავდება.

— ოფიციალური ცნობაა—მეორე ბალკანეთის ომში მთაშაველებს სულ 109 კაცი მოუკლეს და 453 დაუჭრეს.

— სერბიასა და საბერძნეთს საზავო მოლაპარაკებისათვის საჭიროთ მიაჩნიათ—ბულგარეთმა ჯარის დემობილიზაცია მოახდინოს.

— ბულგარლებსა და სერბიელებს სასტიკი ბრძოლა აქვთ სოფელ ნეგჩასა და მის მახლობლათ სერბიელები იმარჯვებენ.

— ოსმალებმა ბულგარლების საზღვრებში მდებარე სოფლებს ცეცხლი გაუჩინეს.

— არაბეთის ჯარი სტამბოლს მიდის.

— ჩინეთის სტუდენტთა კრებამ, რომელსაც 2 ათასი კაცი დაესწრონ გადასწყვიტა გაეგზავნოს იუანშიკა-

ის დეპეში და მოსთხოვოს სამსახურიდან გადადგომა.

— არხანგელსკში ტყეებს ცეცხლი კიდევ უკიდია.

— პეტერბურგს მივიდა გამოჩენილი ფრანგი მწერალი ანატოლ-ფრანსი.

— სასამართლო გოლოლობოვის საქმეზე კადეტ დეპუტატს შულგინს დაეკითხა, მაგრამ შულგინმა ჩვენების მიცემაზე უარი უთხრა.

— ჩინეთის სამხრეთ პროვინციაში სამხედრო წესები გამოცხადეს. რევოლუციონური მოძრაობა ძლიერდება. ჯარი რევოლუციონერთა მხარესაა.

— ნიშაში დანიშნულია საბერძნეთის, სერბიისა და ბულგარეთის წარმომადგენელთა თათბირი.

## ქართული გაზეთის საქმე.

9.

**4. რეპორტაჟი და აგენტურა ჩვენში.**

ფილოლოგიურათ რომ განვიხილოთ, სიტყვა „გაზეთი“ და ვიწამოთ იმ ფილოლოგ-მეცნიერების მტკიცება, რომ „გაზეთი“ წარმომდგარია ლათინური „გაზეტარე“-დან ან „გარრულარე“-დან, მაშინ დავინახავთ, რომ. გაზეთი უნდა იყოს მოლაყბე, მოამბე. და თანამედროვე გაზეთი განა ამ საქმეს არ უახლოვდება რამდენათმე?

მკითხველმა არ იფიქროს, თითქოს ჩვენ საჭიროთ და სასარგებლოთ მიგვაჩნდეს გაზეთის სალაყბო და საამბო ფურცლათ გადაქცევა. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი სისულელისაგან. საამისოთ გაზეთი—ეს ნამდვილი დროშა პოლიტიკური პარტიისა, პარლამენტი ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფისა, არაოდეს არ უნდა იქმნას გამოყენებული. გაზეთს საამბო ფურცლათ აქცევენ გროშებით დაინტერესებული პირები, ბულვარის და ქვემძრომი პრესის ხალხი. მაგრამ უკიდურესობაში ჩვენ არაოდეს არ უნდა ჩავარდეთ.

ჩვენ ზომიერათ და სათანადოთ პოლიტიკაც გვესაჭიროება, სერიოზულ საკითხების გარკვევა-გაშუქება და ამბავიც. ქართულ გაზეთებში კი ზომიერათ და სათანადოთ არაა დაყენებული მაგალითად ამბავის საქმე, რეპორტაჟი.

აბა, მართლა როგორ უნდა მოგეწონოს, ჩემო მკითხველო, ის გარემოება, რომ ჩვენი გავრცელებული „სახალხო გაზეთი“ მთელ თვის განმავლობაში და ხშირათ ნახევარ წლის სიგრძე-სიგანეზეც, მოკლებულია ყოველგვარ ცნობას ისეთი ადგილებიდან, როგორცაა მაგალ. ფოთი, ხონი, ხაშური, ონი, ლანჩხუთი, ბათომი, სიღნაღი, დუშეთი, სამტრედია და სხ.

რამ უნდა დააინტერესოს ეს ხალხი გაზეთში? როცა ამ კუთხის მცხოვრებლები ხედვენ და გრძნობენ, რომ გაზეთები მის ცხოვრებას ყურადღებას არ აქცევენ, იციან, რომ ყოველივე ბოროტებას არავითარი განცხადება არ მოყვება, რომ სიკეთეს გამრკვეველ-გამახალისებელი არავინა ყავს. მითხარით, ასეთ პირობებში სოფლელები როგორღა უნდა დაეწაფოს სისტემატიურათ გაზეთის კითხვას? რით უნდა იყოს დაინტერესებული მოქალაქე ქართული გაზეთით, როცა ის ხედავს, რომ მისი სამშობლო მხარის შესახებ სამშობლო გაზეთი სდუმს, ხმას არ იღებს?

უბრალო ჭეშმარიტებაა, მაგრამ იძულებული ვართ გავიმეოროთ, რომ რამდენათაც გაზეთი კრიჭაში უდგას პროვინციას, ააშკარავებს ყოველ მოვლენას, ყოველ საქმეს სოფლისას, რამდენათაც იგი გაზეთი სთრგუნავს და სამარცხვინოთ ხდის სოფლის ყალბ ელემენტების ცუდ საქმეებს, აქებს და ადიდებს სასურველ და სასიკეთო მოვლენებს, იმდენათვე გაზეთი სწმენდს, აუმჯობესებს სოფლის ცხოვრებას და ამავე დროს მისსა და პროვინციელებს შორის ამტკიცებს იმ კავშირს, რომლითაც ხეირობს არათუ ნივთიერი პირობები გაზეთისა, არამედ წინ მიდის თვით ის საპოლიტიკო ინტერესები, რომლის გამავითარებელი და მატარებელია უმთავრესათ ჩვენი ქართული გაზეთი.

მაგრამ ამ საქმის, რეპორტაჟის მოწყობა, კიდევ პირდაპირ სამეცნიერო მიზნისათვისაცაა საჭირო და აუცილებელი. ჩვენში, სადაც მხარის შესასწავლათ მთავრობა გროშსაც არ იმეტებს, სადაც ამ საქმეს არა ყავს მზრუნველი და პატრონი, გაზეთი ის ერთადერთი დაწესებულებაა, რომელსაც შეუძლია გახდეს იმ მასალების წყაროთ, რომელთა გადამუშავებითაც ისწავლება და ინათება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება.

ამიტომ რეპორტაჟის სათანადოთ მოწყობა ჩვენთვის პირდაპირ სადღეისო და საარსებო საკითხია, აუცილებელი საქმეა.

ამ წერილების მეექვსე და მეშვიდე თავში ჩვენ წარმოვიდგინეთ ნივთიერი და სულიერი მდგომარეობა დღევანდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა და მისი მესვეურებისა. უტყუარის და ნამდვილის საბუთით აღმოჩნდა მათი საშინელი მდგომარეობა, ნივთიერი სივიწროვე, რომელიც ლოღიკურის აუცილებლობით იწვევს სულიერ სიღატაკესაც. „სახსარი, რომ გვქონებოდა, განა აგრე „ღარიბი“ იქნებოდა ჩვენი ჟურნალი შინაარსით“-ო? მწერდა და მეუბნებოდა „კლდეს„ რედაქტორი, რომელსაც სხვადასხვა ვარიანტებით იმეორებს და ამბობს ყოველი ქართველი პერიოდული გამოცემა.

ამ მდგომარეობის მიზეზს—როგორც წერილის შემდეგ თავებიდან დაინახავდა მკითხველი—ჩვენ ვხედავდით არა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ გულგრილობაში, არა სხვაგან და სხვაგან, არამედ თვით საგაზეთო საქმის დაყენებაში.

ზოგი სერიოზულ მასალით მდიდარია, ხოლო ღარიბია რეპორტაჟით, ზოგი უფრო მდიდარია სასოფლო ცნობებით, მაგრამ ღარიბია სერიოზულ წერილებით, ზოგიც ვერ დააკმაყოფილებს საზოგადოების ვერც ერთ ეროვნულ მოთხოვნილებას. ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი გაზეთი ჩვენში არ არსებობს და ეს არის მიზეზი მკითხველის გულგრილობისა.

საჭიროა ასეთი ორგანოს შექმნა, პირველი ნაბიჯი ამ საქმის განსახორციელებლათ გადადგმული იქნება მაშინ, როცა ჩვენი რედაქციები ყოველ გამოჩენილ—კულტურულ ცენტრში, ან უკიდურეს შემთხვევაში მთელ რაიონში, როგორც მაგ. გურიაში, ოდიშში რაჭაში, იმერეთში, კახეთში, ქართლში, სამცხე-საათაბეგოში და სხ. იყოლიებენ მართლა საკუთარ და ღირსეულ რეპორტიორ-კორესპონდენტებს, რომლის სისტემატიური თანამშრომლობა ჩვენს სოფლებს ცოცხლათ წამოგვიყენებს, გამოაშკარავებს მის ყოველ სიდუხჭირესა და სიმშვენიერეს.

მაგრამ არის კიდევ მეორე მხარე, მეორე საქმე ჩვენი ჟურნალ-გაზეთებისა, რომლის მოუწყობლობა, მართალი უნდა გითხრათ, პირდაპირ ჩვენი ინტელიგენციის ბრალია და რომელიც ერთბაშათ ანადგურებს ჩვენი ჟურნალ-გაზეთის მდგომარეობას.

ეს არის აგენტურის მოუწყობლობა.

ჩარჩობა, რედაქციის და ლიტერატორთა სუსტ საშვალებებზე ბოროტმოქმედება, მითვისება ამ საზოგადოებრივი სიკეთის, ნამდვილი ბოროტებაა, იგი უნდა იქმნას აღმოფხვრილი ძირფესვიანათ, რომ გაზეთის სიცოცხლე მისი სიდუხჭირით არ იქმნას მოსპობილი.

ჩვენ არ დავკმაყოფილდებით მარტო იმის აღნუსხვით, თუ როგორ წუწუნებენ და ჩივიან ჩვენი რედაქციები აგენტურის მოუწყობლობას. „ჩვენმა წყარო“-მ აგენტების წინააღმდეგ ყველაზე მეტად გაილაშქრა და სამარცხვინო ბოძიც წამოუყენა წინ მათ, მაგრამ გამოსვლით რა თქმა უნდა არაფერი გამოვიდა, რადგანაც „ფუჭია მგლის თავზე სახარების კითხვა“.

აი, ავიღოთ სხვა უფრო კონკრეტიული ცნობა, რომელიც ზედ-მიწევნით დაახასიათებს თუ რამდენად გამანადგურებელ ძალისაა დღეს ჩვენში აგენტურის მოუწყობლობა.

„სახალხო გაზეთი“ მაგ. იბეჭდება საშვალოდ 3.900 ცალი. ამათ რიცხვიდან გამოვაკლოთ ოთხასი ცალი, რომელიც შესაძლოა გაუნაღდებელი დარჩეს გაზეთის მუქთად გაცემით თუ გაუყიდველობით. ამ 3.500 ცალის სარედაქციო ღირებულომა $2^1/_2$ კაპიკი რომ ვიანგარიშოთ, მივიღებთ დაახლოვებით 82 მანეთს. ამას გარდა, „სახალხო გაზეთში“ იბეჭდება საშვალოდ, ფასიანი, დანუმრული განცხადება თვითო ნუმერში—ოცი. საშუალო ღირებულება განცხადებისა უნდა ჩაითვალოს ორი მანეთი აქედან განცხადებანი მისცემენ უკანასკნელ ორმოცც მანეთს დღეში. ბანკის განცხადების ჩაუთვლელათ, ამნაირათ გაზეთი უნდა ღებულობდეს დღეში 122 მანეთს. ამ წესით გამოანგარიშება ჩვენ გვანახებს, რომ ნუმრის შემოსავალი უდრის:

| | | |
|---|---|---|
| „სახალხო გაზეთის“ | 112 | მან. |
| „სიმართლის ხმის“ | 78 | „ |
| „იმერეთი“-ს | 63 | „ |
| „თემი“-ს | 76 | „ |
| „კლდე“-ს | 53 | „ |
| „ჩვენი წყაროს“ | 70 | „ |
| „სასოფლო გაზეთი“-ს | 82 | „ |

ეს ცნობა ჩვენი გაზეთების თითო ნუმრის შემოსავლის მინიმუმია. აგენტურა რომ იყოს მოწყობილი ზემოხსენებულ თანხას მიიღებდენ რედაქციები თანამედროვე ქართველობის ინტერესის და გაზეთების გონივრულ ავლა-დიდების დროს.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ რედაქციებისათვის ეს შემოსავალი საკმაოა, რომ ლიტერატურული ძალაც იქნას სათანადოთ დაფასებული და დაცული გაზეთის გამოცემის ინტერესები. მაგრამ ეს შემოსავალი, ქართველ სალიტერატურო ძალების უანგარობით შესაძლებლათ ხდიდა გაზეთის გამოცემას და შემონახვას იმ მცირე თანხისას, რომელიც არსებულ პოლიტიკურ სიდუხჭირის გამო მზა-მზარეულათ უნდა ქონდეს რედაქციას.

ასეთ მდგომარეობაში ჟურნალი „კლდე“ მხოლოთ მცირე დეფიციტს მიიღებდა, არა უმეტეს 7—10 მანეთისა ნუმერზე. „ჩვენი წყარო“-ს შეეძლო შემოენახა 10—15 მანეთი, რადგან მისი გამოცემა ჯდება საშვალოთ 55 მანეთი. კიდევ მეტი შეეძლო შემოენახა „სასოფლო გაზეთს“, „სახალხო გაზეთს“ შეეძლო მცირე ჰონორარიც გაეცა გარეშე თანამშრომლებზე, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოთ შესაძლებელი იქნებოდა, რომ აგენტურის საქმე არ სპობდეს ჩვენი გამოცემების საქმეს.

სახელ-დახელო თანხის შექმნის ნაცვლათ ჟურნალ-გაზეთები იტანდენ დიდ ქრონიკულ დეფიციტს, ზარალს და პირველ დაწყებითი, ძირითადი თანხა ძლიერ მალე ქრებოდა.

ამნაირათ, ჩვენთვის აშკარაა, რომ გაზეთების ერთ-ერთი სულ-ხორცის მღრღნელი არიან ჩვენი წურბელა-აგენტები, ჩარჩ-ბაცაცები და ცხადია რედაქციებმა ამ თავისებურ ფილოქსერას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ.

სხვადასხვა საშვალებებში, აგენტურის მოსაწყობათ დიდი მნიშვნელობა ექნება რეპორტაჟის მოწყობას, საკუთარ კორესპონდენტების ყოლას, რომელნიც საგაზეთო საქმის წარმატებაში დაინტერესებულნი არიან, იგინი თავ თავიანთ რაიონებში ღირსეულათ დააყენებდენ საქმეს და დღევანდელ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს გამოიყვანდენ იმ მკაცრი კრიზისიდან, რომლიდანაც თავი ვერ დაუღწევიათ.

სამწუხარო და სავალალოა ისაა, რომ ამ ყველაზე უფრო დიდ მნიშვნელოვან საქმეზე არავინ ზრუნავს, არავინ ხმას არ იღებს. ან სხვამ როგორ ამოიღოს ხმა, როცა ამ საშინლად მივიწყებულ საქმეზე ენას არა ვძრავთ თვით ჩვენ, რომელთათვის ძვირფასი და წმინდათა წმიდაა სალიტერატურო საქმე.

თ. ღლონტი.

# ახალი ამბავი

კარგა ხანია, რაც ბ-მა ეგნატე ნარსიამ ქუთაისში მცირე წყალსადენი მოაწყო და დღეს საკმაოთ ურიგებს წყალს: დიდსა და პატარა ციხეებს, ფოთისა და გორის პოლკებს და რამდენიმე კერძო ოჯახსაც. ბ-ნს ნარსიას განზრახვა აქვს—ეს ჯერ პატარა საქმე გააფართოვოს და მიაშველოს უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ ქალაქის მცხოვრებლებს.

✦ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ გადასწყვიტა გამოსცეს განსვენებული ა. ხახანაშვილის უკანასკნელი ნაწარმოები: „მეცხრამეტე საუკუნის ქართულ სიტყვიერების ისტორია“. ბეჭდვას უკვე შეუდგენ.

✦ დასავლეთ საქართველოში საერთოდ წელს კარგი მოსავალია განსაკუთრებით პურის. უმეტეს შემთხვევაში პური უკვე მომკილია და ამ თვის შუარიცხვებში გაილეწება კიდეც. ოსეთის მხრის სოფლებში პარასკევს, 12 ივლისს დიდი სეტყვა იყო, რომელმაც ისედაც დაზიანებული ვენახები უფრო დააზიანა.

✦ ჭიათურას არავითარი სიცოცხლე აღარ ეტყობა. შეწყვეტილია ქვის გადმოზიდვა, ვაგონების დატვირთვა. ქართველი მუშები თითქმის სულ აღარ სჩანან, აქაიქ ბერძენ ან ოსმალო მუშას თუ მოკრავთ თვალს ყავახანების წინ. ხმებია გავრცელებული ზოგიერთ სხვილ ფირმებს წარმოების დიდი ხნით შეწყვეტა აქვთ განზრახულიო.

✦ „Батум. день“-ი იუწყება, რომ ბათომში მცხოვრებ ბერძნებს სამშობლოში იწვევენ სამხედრო სამსახურისთვისო.

✦ სტ. ი. ქლენტი 21 ივლისს სამტრედიაში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ი. ჭავჭავაძე და მისი პოეზია“. ამავე ლექციას იგი გაიმეორებს დ. ჩოხატაურში და აგარაკ ბახმაროზე.

✦ სოხუმში მივიდენ სხვილი მოიჯარადრეები და შავიზღვის ნაპირას გასაყვანი რკინის გზის ადგილები დაათვალიერეს. ამ დღეებში მოხდება საიჯარო ვაჭრობა სამუშაოების იჯარით გაცემის შესახებ. ხმებია მუშაობას 12 აგვისტოდან დაიწყებენო.

✦ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ბათომელ კონსულს განუზრახავს კავკასია ფეხით შემოიაროს.

# კათოლიკობა იმერეთში.

I.

უკვე ამოჩენილი საბუთებიდან ჯერ-ჯერობით ჩანს, რომ კათოლიკობამ იმერეთში პირველათ იჩინა თავი 1626 წელს, რაიც დამტკიცებულია ურბანო პაპის მიერ გაგზავნილი წერილით იმერეთის მეფესთან. მხოლოდ პირველათ თეატინელი მისიონერები მოქმედებენ ოდიშსა და გურიაში და მათმა შრომამ მართლაც დიდი გავლენა იქონია ხალხზე. მათი ქება იმერეთის მეფე ალექსანდრემდისაც მივიდა და ამ მეფის თხოვნით დადიანებმა ქუთაისშიც გამოგზავნეს ერთი მისიონერი, რომელიც ისეთ პატივცემაში ყავდათ იმერლებს რომ როდესაც დადიანმა შემოუთვალა იმერეთის მეფეს მისი დაბრუნება, უკანასკნელს, რა მიზეზები არ მოყავდა, რომ როგორმე დაეტოვებია ეს ერთადერთი მისიონერი, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნა გაეგზავნა, რადგან დადიანი მუქარით მოდიოდა იმერეთის მეფეზე. ეს იყო პირველი მისიონერის მოქმედება იმერეთში. ნამდვილათ კი საკუთრათ იმერეთისათვის ჩამოსვლა მათი მხოლოდ 1668 წლიდან, იწყება, მაგრამ ძალიან ცოტა საბუთებია მათი იმდროინდელი მოქმედებისა ამ მხარეში.

ამ წერილში მინდა მოვიყვანო რამდენიმე საბუთი იმისა, თუ როგორ მოქმედებდენ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში კაპუცინები იმერეთში—ქ. ქუთაისში. რაც შეეხება დანარჩენ უმეტეს ნაწილს საბუთებისას, რაიც მთელს მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკ. შეეხება, ესენი, განზრახვა გვაქვს, ცალკე გამოვცეთ ერთ წიგნათ.—„კათოლიკეთა ისტორია იმერეთში“. ყველა საბუთი (თუმცა ბევრი კიდეც დაკარგულია) შეკრებილი და აკინძულია ქრონოლოგიის დაცვით მამა დამიანე საკაშვილის მიერ, დანარჩენიც წელს ჩვენს მიერ ნახული, ამხანაგების დახმარებით ჩართულია იმავ რვეულებში და ინახება ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის არქივში.

მამა მიხეილ თამარაშვილი თავის წიგნში—„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“—ქათოლიკეთა ისტორიას იმერეთში ალაგ-ალაგ ეხება და მოყავს რომის არქივიდან ამოკრეფილი ზოგიერთი საბუთი თამარაშვილის მიერ მოხსენებული (დედანია ეს თუ პირი არ ვიცით) იპოება აგრეთვე ქუთაისის არქივში, მაგალითად მოხსენება ქუთაისის ეკლესიის შესახებ—ყოვლად უსამღვდელოესობამ გურიისა და იმერეთის გამგეს არქიეპისკოპოზის სოფრონიოს ქუთაისის კათოლიკე ეკლესიის გამგის ღვდელმონაზონის მისიონერის პატრი ქერუბინა სარაველელისაგან. წელსა 1840 აპრილისა 30-სა, ქუთაისი“. განსხვავება ამ საბუთებში ის არის რომ თამარაშვილს მოყვანილი აქვს „იმერეთის და გურიის გამგეს ეპისკოპოზს“ და იმ საბუთში, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს ნახსენებია „გურიის და იმერეთის გამგე არქიეპისკოპოზი“. ამ საბუთის მოყვანას აქ მეტათ ვსთვლით, რადგან ის სიტყვა-სიტყვით მოყვანილი აქვს თამარიშვილს ზემოაღნიშნულ განსხვავებით.[1]) თამარაშვილს მოყავს აგრეთვე სამი საბუთი: ა) იმერეთის მეფის სოლომონის, რომელმაც პატრებს საყდრისათვის ადგილი უბოძა[2]), ბ. მოკლიაშვილების ადა ავთანდილაშვილების[3]) და გ) იმერთა, ლეჩხუმთა, ოდიშთა და გურიის დედოფალ დადიანის ასულ მარიამისა, რომელმაც აგრეთვე ადგილი უბოძა პატრებს[4]). ეს სამივე საბუთი შემოწმებულია 1823 წელს რუსების შემოსვლას შემდეგ იმერეთში იმერეთის დროებითი მართველობისაგან, როდესაც მდივანბეგათ იყო თავადი დავით ჩხეიძე. ეს სამი საბუთი იმისათვის მოვიხსენიე, რომ ერთი ამდაგვარი. საბუთი 1822 წელს იმერეთის დროებითი მართველობის მიერ შემოწმებული ხელთ გვაქვს და ეკუთვნის 1818 წელს. მოგვყავს სიტყვა-სიტყვით აქვე:

„ათას რვას თვრამეტსა წელსა აგვისტოსა ოცდა რვასა დღეს, ჩუჰნ—ქუჰმო ხელის მომწერელმან. სამან სტეფანა ბერუჩაშვილმა. ისაია დავითასშვილმან და გიორგი ტერ პეტროსის შვილმან, მოგვყიდეთ თქუჰნ აზნაურ კათოლიკე თომა ბაინდუროვს ჩუჰნი საეზოვე ადგილი, რომელიც მეფისაგან წყალობის წერილით გვაქვს მიწა ნაბოძები. ინაკაძის განასყიდი მოკლიაშვილის გვერდზე თხრილიდამ—საურმე შარამდი, ქვეით დათიკა ხოჯაშვილის თხრილამდი, ზეით ბეკის იქით შარამდის—მოგყიდეთ ჩუჰნის სრულის ნებით და ფასიც სრული უკლებელი მივიღეთ რითაც—ჩუჰნი გული შეჯერდებოდა.

აწ მოგცეს ღმერთმან ბედნიერებაში და დღეის შემდგომად ჩუჰნ ამ ხსენებულ ადგილზედ უფლობა აღარა გვაქვს რა, და გავსთ თქუჰნ უფლობა როგორათაც თქჰნი მკვიდრი ადგილის მოხმარება გასყიდვად დაგირავება გინა ჩუქება ვისდამიცა ინებებთ, და რომელიც მეფისაგან ბოძებული წერილი გვქონდა იგიც თქვენთვის მოგვიცია, და დღეის შ-დ არც ჩუჰნ და არც შემდგომ ჩუჰნი მოდავეთ ვერავინ მოგადგეს, და თუ ვინ იცის მოდავე ვინმე გამოჩნდეს ამ—ჩჰნგან მოსყიდულ ადგილში პასუხი ჩუჰნ გავსცეთ და თქუჰნ დავისაგან განგათავისუფლოთ.

ამ ზემო წერილის ყაბული მაქს მე ისაია ბერუჩაშვილს და სტეფანას და ეს ჩემი ხელია ქ: მე პავლე ხითაროვს დამიწერია სტეფანა, ისაია და გიორგი ბირუაშვილის თხოვნით და მოწამეც ვარ ამისი.

ამ ზემო წერილის მოწამე ვარ მე ხოჯაშვილი სიმონა ამათი თხოვნით. იმის მოწამე ვარ მე ივანე ბაქრაძე სიას გიორგის და სტეფანას თხოვნით. ამის მოწამე ვარ ქუთაის ნაცვალის პიდიან მოსაწ... (ვერ გავარჩიეთ).

1822 года Іюня 11 дня сей документъ Имеретинскомъ временномъ правленіи отъ дворянина Фомы Байндурова явленъ и въ книгу подлинникомъ подъ № 9-ый записанъ, въ чемъ симъ подписомъ присудствующаго и приложвніемъ казенный печати свидѣтельствуется.

პოლკოვნიკი მდივანბეგი თავადი ქაიხოსრო წერეთელი.

მდივანბეგი თ-დი დავით ჩხეიძე.

| | |
|---|---|
| печать Императорскаго временнаго правленія. | Секретарь (ვერ გავარჩიეთ).“ |

1810 წლიდან უკვე საბუთებს ეტყობა რუსების გავლენა. მაგალითად ზემო მოხსენებული თომა ადრინდელ წერილებში და აგრეთვე „ძმობის“ წიგნში იხსენიება ბაინდურაშვილათ და არა ბაინდუროვათ. ამდაგვარათ ასეთივე გავლენა დროთა სვლაში ემჩნევა სხვებსაც. მთელი ქართული გვარები უცხო დაბოლოვებას იჩენს. მაგრამ კაპუცინების დროს მაინც კარგათ არის დაცული ქართული გვაროსნობა, რასაც მათ მიერ შედგენილი ნათლიობის, ქორწინების და მიცვალებულების წიგნაკი გვიჩვენებს. მეტათ საინტერესოა ეს წიგნაკი, სადაც თითო მოწმობა, მაგ. მეტრიკული, მხოლოდ ოთხ პწკარს შეიცავს. კათოლიკეთა ისტორიისთვის ეს წიგნი მეტათ მნიშვნელოვანია, რადგან 1774 წლიდან ვიდრე 1820 წლამდი მოყვანილია ყველა მონათლული, დაქორწინებული და მიცვალებული. ამ წიგნაკის შესახებ სხვა დროს ვისაუბრებთ, ახლა კი მოვიყვანთ საბუთს, რომელიც შეეხება 1793 წელს:

„ქ. ღ-თ. ავიღე. მე. ხეჩინაშვილმა სვიმონამა. თქვენ. ბატონი. (აქ ერთი სიტყვა ვერ გავარჩიეთ). მალხაზისაგან

1) მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, იხილე გვ. 529.
2) ibid გვ. 409.
3) ibid გვ. 482.
4) ibid გვ. 494.

ბათომში 1—20 ავგისტომდი სა-
...ფლო-სამეურნეო კურსები გაიხსნება. ...რსების მოსაწვევათ არჩეულია განსა-...თრებული კომისია.

სწავლა-განათლების სამინისტრომ ...ვკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნვე-...ის თხოვნით ქუთაისის რეალურ სასწავ-...ებელს აპატივა ვალი 17,00 მანეთი, ...მელიც ხსენებულ სასწავლებელს სამი-...ნისტროდან ქონდა მიღებული სასწავლებ-...ის შენობის აშენების დროს

კავკასიის საბრეშუმო სადგურის ...ოქმედების გასაძლიერებლათ განზრახუ-...ია, ნივთიერათ უზრუნველყონ მისი სა-...ეცნიერო პერსონალი და სადგურის გან-...ოფილებანი გახსნას ქუთაისსა და ალ-...ავში.

ქ. შ. წ.-კითხვის გამ. საზოგადოე-...ამ თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ...მგეობას თხოვნით მიმართა, რომ ...თხი თვით შეაჩეროს თფილისში, ანდრე-...ის ქუჩაზე მდებარე ილიასეული სახლის ...ყიდვა. მთელი ქართველობის სურვი-...ია—ეს შენობა კერძო პირის ხელში ...რ გადავიდეს და ამიტომ წ.-კ. საზოგა-...ოებას აზრათა აქვს იგი ან თვითონ, ან ...რომელიმე საკულტურო საზოგადოებამ ...შეიძინოს.

# კვირიკე.

...რა კარგია, როცა მოულოდნელათ ...ისთანა იღბალი დაგატყდება თავს, წარ-...ატება მოგენიჭება, რომ მარჯვნით და ...მარცხნით ყველას ეუბნები:—კარგი, მე-...ოლები სახეში, შენთვის ერთ ადგილი ...აინც შემონახული მაქვს და სხვა მი-...თანები..

...რაც უნდა დაბალი იყო—გამაღლდები, ...რაც უნდა თხელი იყო,—გარგვალდები. ...თხელი რო ვთქვი—ჭკუა და ცოდნა-...ზე კი არ მითქვამს, ჭკუას ვინ გიზომავს... ...და მერე კიდევ, ეს ჭკუა ერთობ სადავო ...საგანია.,. ჩემი ჭკუით, ეგება, ჩემი, „ასე“ ...შენი „ისე“ გამოვიდეს, მე რაც გებაასე, ...შენ ვერ შეითვისე. ვის რა მოსწონს, ...და ვის კიდევ რა, ჭკუა სხვადასხვა გვარია, ...ზოგს დედალი მოსწონს, სხვას ვარია... ...ზოგს ჩახოხბილი და ზოგსაც ტაბაკა... ...ერთი სიტყვით ჭკუის ბარაქა და საწყაო ...ისე ძნელია და სადაო, როგორც ცოდნისა. ...ცოდნას გაძლევს სწავლა, სწავლას შკო-...ლა და ცხოვრება ვინც... ჩვენშია და ვი-...საც შკოლის გზა ჩვენ თვალწინ ...გაუვლია, დაღი მიუკრავს და შკოლის ...ბაშპორტი აუღია, და მერე ცხოვრებაში ...გამოსულა და მიმოდის, ის რა შვილიცაა ...და რა მოდის—ყველა ვხედავთ და ვიც-...ნობთ... მარა ზოგი ცხრა მთას იქით ...მიდის, ვთქვათ, შვეიცარიაში! ღმერთმამ ...უწყის, რას იძენს, რას ახდენს... მარა, ...ორ-სამ-ოთხ წელს შემდეგ მოდის და— ,,...ინჟილერი‘‘ ვარ, ,,ქიმიჩკა‘‘ ვარ! ...ინჟილერს იქაური შტემპელი მიუკრავს, ...ქიმიჩკას შლაპაზე ქიმი დაურჭვია და სა-ბუთები ფუთობით ჩამოუტანიათ... მიდი ახლა შენ და გამოიძიე იმ ცხრა მთას იქითური შტემპელით ან შლაპის ქიმით, რა ავლა-დიდების პატრონებია ესენი. არა! შტემპელი და ქიმი ჩვენმა ცხოვრებამ უნდა დაარტყას მათ და მერე ვიცნობთ—რა სორტის ხალხიცაა. ზოგი გავიცანით კიდეც და ბევრსაც გავიცნობთ აწი, ზოგი მოვიწონოთ, იქნება, ზოგს-კი, თქვენთან უკაცრავათ და—ერგოს ბრაწი...

მარა, რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, ბრაწივით წავიდა მდაბიო მოქალაქეთა არჩევანი. ვინაიდან მდაბიო მოქალაქენი არიან, თავჯდომარეთ ძაან მაღალი კაცი აირჩიეს... ერგოს სერგოს!-ო—შექნეს ძახილი და ერგო კიდეც. მარა სიმეტრია დარღვია იმან, რო კრების თავჯდომარეთ ასეთი მაღალი, წამოსადეგი, რიხიანი და მამასახლისათ ერთობ დაბალი აირჩიეს. მდაბიო მოქალაქენი, თუ ამაღლდენ იმით, რო მისთან მაღალი პიროვნება აირჩიეს კრების თავჯდომარეთ და ამით დაამოწმეს და დაადასტურეს თავის აღტყინებული გემოვნება, მეორე შემთხვევაში დადაბლდენ, რო დაბალი, ტანით კუკნა კაცი მამასახლისათ აირჩიეს და ლეკური ბუქნა არ უმართებთ...

ეჰ, ვის რა უმართებს და რამდენი მართებს—დაბლებს კი არა მაღლებსაც—ამის ძიებაში რო წავიდე, როდის გავალ ფონს!... ვურჩევ მდაბიო მოქალაქეთ: მჭედელს, ნალიბანდს, ჰონს, თერძს, ზეინკალს მიკიტანს, და ყველა ჯურის მდაბიოთ—ჰურის როლს თავი დაანებონ და...ერთი სიტყვით ამაღლდენ.

კვირიკე.

# უცხოეთი.

**არეულობა საპყრობილეში.** ხარკოვის ფარულ პოლიციის საპყრობილეში ტუსაღებმა არეულობა მოახდინეს. ზოგიერთებმა ფიცარი იშოვეს და კედლებსა და ფანჯრებს მტვრევა დაუწყეს. ტუსაღების დასამშვიდებლათ შეიარაღებული მცველები მივიდენ. მცველებს უთხრეს ახლო არ მოგვეკაროთ, თვარა მოგკლავთო. შემდეგ ფარულ პოლიციის უფროსს ნებით დანებდენ.

**სასოფლო-სამეურნეო შკოლა.** სარატოვში მთავრობამ უმაღლესი ტიპის სასოფლო სამეურნეო კურსები გახსნა. კურსებზე 60 ადგილია და ჯერჯერობით 150 კაცი თხოულობს ადგილს. მიიღეს 80 კაცი. მთავრობამ შკოლას სუბსიდიათ მისცა ჯერჯერობით 15 ათასი მანეთი.

**კოოპერატორთა კრება** ურალის მხრის კოოპერატორთა კრება გაიხსნა ეკატერინბურგში. კრება სამაზრო ერობამ მოიწვია. კრებაზე გამოცხადდა 113 კოოპერაციის წარმომადგენელი. მსჯელობენ იმის შესახებ თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ერობამ კოოპერაციაში.

# მშრომელი ხალხი

**მუშის შრომის ფასი რუსეთში.** რუსეთში ყველაზე კარგ მდგომარეობაში არიან ლითონის ქარხნებში მომუშავე მუშები. ისინი წლიურათ ღებულობენ 473 მანეთიდან 523 მანათამდი. სხვა საქონლის ქარხნებში მუშა 240 მანეთს ძლივს ღებულობს. ლითონის ქარხნებში მომუშავე მუშებს ზოგიერთ ქარხნებში დიდი ჯამაგირი აქვთ და ზოგიერთში კი მცირე. არის მუშები რომლებიც წლიურათ 144 მანეთზე მეტს ვერ ღებულობენ. ყველაზე მცირე ჯამაგირი აქვთ ტყავეულობის და შაქრის სამრეწველოების მუშებს.

**მუშების გადასახლება.** პეტერბურგიდან გადაასახლეს ორი მუშა შედნიკოვი და ბოგომოლოვი. მათ აკრძალული აქვთ ცხოვრება სატახტო საუნივერსიტეტო და საპორტო ქალაქებში.

მოსკოვი. 6 ივლისს მოსკოვის გამომცემლობის სტამბის 400 მუშა გაიფიცა. თხოულობენ ჯამაგირის 20 პროცენტით გადიდებას. ამ სტამბაში რამდენიმე გაზეთი იბეჭდება. გაფიცვის გამო გაზეთები არ გამოსულა. სალამოზე ამხანაგობის გამგეობა მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე თანხმა გახდა.

# ქალთა ინტერნაციონალური
## კონგრესი პარიზში.

(ქ. დიუდმილა სტალის წერილი)

ივნისის პირველ რიცხვებში ათასამდი წარმომადგენელი დაესწრო ქალთა ინტერნაციონალურ კონგრესს პარიზში. თუმცა ბურჟუაზიულ წრის ქალთა კონგრესი იყო, მაგრამ მაინც ინტერეს მოკლებული არ არის შეგნებული მუშებისათვის.

თუ თვალს გადავავლებთ ევროპის დიდ სახელმწიფოთა სტატისტიკურ ცნობებს, დავინახავთ, რომ უმეტეს შემთხვევაში ქალები სჭარბობენ მამაკაცების რიცხვს:

| ქვეყნები. | მამაკაცები. 15-59 წ.წ. | დედაკაცები. 15-59 წ.წ. |
|---|---|---|
| ინგლისი | 9,400,000 | 10,182,000 |
| ევრო. რუს. 1897წ. | 204703000 | 26,164,000 |
| გერმანია | 15924000 | 16,431,000 |
| საფრანგეთი | 11639000 | 11,911,000 |
| იტალია | 8945000 | 9,255,000 |
| ავსტრია | 7365000 | 7,664,000 |
| ჰუნგრეთი | 5433000 | 5,506,000 |
| იტალია | 5143000 | 5,559,000 |
| შვეცია | 1386000 | 1,472,000 |
| შეერთებ. შტ. | 23020000 | 21,777,000 |

თანამედროვე ქალი ხშირ შემთხვევაში იძულებული ხდება მოსცილდეს ოჯახს, კერას, რომ თავიდან აიცილოს შიმშილი და ოჯახიც გამოკვებოს.

მშრომელ ქალთა რიცხვი ძლიერ დიდია:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია | 1907 წ. | 9,492.883 |
| ავსტრია | 1900 „ | 5,684,984 |
